# აბაშის მუნიციპალიტეტის
# საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
# კომისიის სხდომის

**ოქმი №12**

**ქ. აბაშა, 2020 წლის 16 ნოემბერი.**

სხდომის ადგილი: აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობა (ქ. აბაშა, უ. კაჭარავას №1).

სხდომას თავმჯდომარეობდა: აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე გოდერძი კუპრავა.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ელვარდი ნოდია, შოთა ჭანტურაია, ზაზა გაბელაია და კოკი ჩაჩავა.

სხდომას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ზურაბ შუბლაძე, მერაბ მელია და ბენია პიტავა.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი და დააყენა კენჭისყრაზე.

დღის წესრიგი

1. აბაშის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვის დაწყების შესახებ.

   მომხს: გ.კუპრავა

2. ,,აბაშის მუნიციპალიტეტის 2020 წლის მესამე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ".

   მომხს: გ.კუპრავა

კომისიამ კენჭი უყარა დღის წესრიგს ( მომხრე - 5; წინააღმდეგი -0) და განაგრძო მუშაობა წარმოდგენილი დღის წესრიგის შესაბამისად.

**მოისმინეს :**

1. აბაშის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვის დაწყების შესახებ.

მომხს: გ.კუპრავა

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი - აბაშის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვის დაწყების შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ე. ნოდიამ და შ.ჭანტურაიამ.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე -5; წინააღმდეგი -0) აბაშის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ

**დაადგინა:**

განკარგულების პროექტი - აბაშის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვის დაწყების შესახებ გატანილ იქნეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის მიზნით.

**მოისმინეს :**

2. ,,აბაშის მუნიციპალიტეტის 2020 წლის მესამე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ".

მომხს: გ.კუპრავა

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი-,,აბაშის მუნიციპალიტეტის 2020 წლის მესამე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ".

აზრი გამოთქვეს: ზ.გაბელაიამ და კ.ჩაჩავამ.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე -5; წინააღმდეგი -0) აბაშის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ

**დაადგინა:**

განკარგულების პროექტი - ,,აბაშის მუნიციპალიტეტის 2020 წლის მესამე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ" გატანილ იქნეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის მიზნით.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულ იქნა და კომისიის სხდომა დახურულად გამოცხადდა .

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე: გ.კუპრავა